საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ბრძანება № 62

თბილისი „03" 08 2018 წ.

„ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისთვის გრიფის მინიჭების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 01 აგვისტოს N56 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის, 62-ე მუხლისა და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 03 აგვისტოს N974425 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისთვის გრიფის მინიჭების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 01 აგვისტოს N56 ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნეს ცნობილი აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული დანართის შემდეგი გრაფა:

სახელმწიფო ენა	ქართული ენა და ლიტერატურა	სავალდებულო	I	ქართული ენა	შპს „გამომცემლობა ტრიასი" (ს/კ 405060801)	ირინე იაშვილი, ლელა ქისტაური, ნინო მესხორაძე, ხათუნა რაზმაძე	მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული.	ქართული	ქართულენოვანი	381	–

2. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისთვის გრიფის მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 01 აგვისტოს N56 ბრძანებაში და ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ამოღებულ იქნეს აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული დანართის 381-ე განაცხადის ID-ის გრაფა.

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

თეიმურაზ მურღულია
მინისტრის მოადგილე